



## სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	თბ „წიქარა“ - თბ „დევები“		
გუნდი	თბ „დევები“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	25/11/2022	მატჩის ადგილი	თბილისი, ხვამლი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
მოთამაშე/პიროვნება		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი			
მომჩივანი		საჩივარი	მიღებულია უარყოფილია
დარღვევა	<p>სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.</p>	<p>წითელი ბარათი    საითინგი    სხვა ✓</p> <p>თუ „სხვა“ აღწერეთ:</p> <p>მატჩის მეთვალყურის, ფარსმან გაბაძის, თამაშის ოქმი</p>	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	29/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „დევების“ წარმომადგენელი ზურაბ შენგელია(სატელეფონო გამოკითხვა)	აღნიშნეთ ვინ	



**დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. მატჩის მეთვალყურის, ფარსმან გაბაძის, თამაშის ოქმი;

**დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება**

თბ „დევების“-ს წარმომადგენელმა ზურაბ შენგელიამ სატელეფონო გამოკითხვისას განაცხადა, რომ თბ „დევები“ დაკომპლექტებულია მოყვარული მოთამაშეებით, რომლებიც სამუშაო საათების დროს (მატჩის გამართვის თარიღი და დრო - 25 ნოემბერი, პარასკევი 14:00 სთ.) ვერ ახერხებენ თამაშზე გამოცხადებას, აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო როგორც მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლებისთვის, ასევე რეგონალური ლიგის მენეჯერისთვის, თუმცა თამაშის არასამუშაო დღეს გადატანა არ მოხდა. მისი განმარტებით კლუბ „დევები“-ს წარმომადგენელი ესაუბრა, როგორც კლუბ „წიქარა“-ს წარმომადგენელს ასევე რეგონალური ლიგის მენეჯერს.

**ფაქტობრივი მოცემულობა**

1. 25/11/2022, სრკ-ს მიერ დანიშნულ მატჩზე, თბ „წიქარა“-სა და თბ „დევები“-ს შორის რეგიონალურ ლიგაში, თბ „დევები“ არ გამოცხადდა თამაშზე.
2. თბ „დევები“-ს წარმომადგენლის ზურაბ შენგელიას სატელეფონო გამოკითხვის დროს მოყვანილი არგუმენტები რაც გახდა თამაშზე არ გამოცხადების რეალური მიზეზი.
3. თბ „დევები“-ს წარმომადგენლის ზურაბ შენგელიას მიერ ინფრომირებულები იყვნენ კლუბ წიქარას და რეგიონალური ლიგის მენეჯერები, რომ სამუშაო საათებში მისი კლუბი ვერ ახერხებდა მოთამაშეთა შეკრებას, მიუხედავ აღნიშნული მდგომარეობისა მატჩის თარიღის და დროის გადატანა არ მოხდა.
4. თბ. წიქარას წარმომადგენლის გიორგი ბარნოვის განმარტებით თბ. „დევები“-ს წარმომადგენელი დაუკავშირდა თბ. „წიქარას“ წარმომადგენელს მატჩის თარიღისა და დროის გადატანის თხოვნით, თუმცა გიორგი ბარნოვის განცხადებით მატჩის გადადება ვერ მოხერხდებოდა რეგულაციით განსაზღვრულ ლიგის სათამაშო დღეებში (პარასკევი, შაბათი, კვირა).

**კომისიის მსჯელობა**

1. კომისია განმატავს რომ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია მიზნად ისახავს პატიოსანი თამაშის პრინციპების მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, მოთამაშეთა ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვას, რაგბის თამაშის წესების და/ან ქცევის კოდექსის დარღვევის და/ან არამართებული ქცევის ინციდენტებზე ოპერატიულად და სათანადოდ რეაგირებას, თამაშის იმიჯისა და რეპუტაციის ზიანისგან დაცვას. სადისციპლინო კომისია თვლის, რომ ზემოაღნიშნული თამაშის თარიღისა და დროის განსაზღვრაში მონაწილე მხარეთა შორის არ იყო საკმარისი კომუნაკაცია და მეორეს მხრივ მხარეებმა ყველა ზომა არ იღონეს მატჩის გამართვის უზრუნველსაყოფად.



ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით კომისია თვლის რომ თბ „დევებისთვის“ წაგების ჩათვლა იქნება ბუნებრივი სამართალის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუსაბამობა და მიიღო შემდეგი

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გადათამაშდეს 2022 წლის 25 ნოემბერს არშემდგარი რეგიონალური ლიგის მე-10 ტურის მატჩი თბ. „წიქარა“-ს და თბ. „დევებს“ შორის.
2. დაევალოს რეგიონალური ლიგის მენეჯერს უზრუნველყოს არშემდგარი მატჩის გადათამაშება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში და მხარეებთან შეთანხმებით.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	30/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.